



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ილდეღიზიტა მონეტა

ილდეღიზიტა მონეტა, XII– XIII სს. აზერბაიჯანის მმართველი ათაბაგების, ილდეღიზიდების მიერ მოჭრილი არასწორი ფორმისა და სხვადასხვა მასის სპილენძის მონეტა. მის ერთ მხარეს ათაბაგების უშუალო სიუზერენის – ერაყის სელჩუკი სულთნისა და ბაღდადის ხალიფას სახელებია ამოკვეთილი, მეორე მხარეს – თვით ათაბაგის სახელი.

ი. მ. აღმ. საქართველოშიც იყო გავრცელებული. აღმოჩენილია დმანისში, რუსთავში, აგრეთვე XII–XIII სს. განძებში (ლილოს, კრწანისის, თბილისის განჯისკარის, რიყის).

ლიტ.: დ უ ნ დ უ ა გ., ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა ი., ქართული ნუმისმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; Б о с в о р т К. Э., Мусульманские династии, пер. с англ., М., 1971.

**ი. ჯალაღანია**

---